

მასწავლებელთა კონფერენცია

პრეზენტაციის დასახელება: მსოფლიო ლიტერატურის ნიმუში და
პოსტმოდერნიზმის პრინციპები ნაწარმოების მაგალითზე

ავტორი ეკა დონაძე

თბილისის 71-ე საჯარო სკოლა

ekadonadze@gmail.com

2016 წელი
სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

მასწავლებელთა კონფერენცია

- გაკვეთილის მიზანი:
- მოსწავლეებისათვის მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშის მაგალითზე პოსტმოდერნიზმის პრინციპების გაცნობა
- ნაწარმოების ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირება
- ნაწარმოების შედარება ფილმთან

მასწავლებელთა კონფერენცია

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

- **ქართ. XII. 6.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.
-
- **ქართ. XII. 7.** მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.
-
- **ქართ. XII. 5.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების გააანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.
-

მასწავლებელთა კონფერენცია

- მედიაწიგნიერების მიზნები
- კრიტიკული ანალიზი, მედიის მიერ სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;

მასწავლებელთა კონფერენცია

გაკვეთილის მიმდინარეობის ეტაპები:

- გამოწვევა ----- ფაქტი და შეფასება
- აუდიტორიის შემზადება ნაწარმოებისათვის (რიუნოსკე აკუტაგავას „უსიერ ტყეში“)
- ვიდეომასალის ნახვა და განხილვა
- კითხვები მწერლის პიროვნებასა და მოწოდებული ინფორმაციის შესახებ. ვაკვირდები, როგორ აღიქვას მწერალი და მისი სამყარო, რამდენად აღიძრა ინტერესი, როგორი ზემოქმედება მოახდინა რესურსმა.
- ტექსტის წაკითხვა და ჯგუფებში მუშაობა. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ სხვადასხვა პერსონაჟის პოზიცია და განსხვავებული ინტერპრეტაციები. ისინი ავსებენ **5w** პრინციპით შედგენილ კითხვარს (ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ?), რითაც უკეთ ახერხებენ ინფორმაციის ორგანიზებასა და გააზრებას.

მასწავლებელთა კონფერენცია

რეფლექსიის ეტაპი

1. ჯგუფების ვერსიების განხილვა და დისკუსია
2. მასწავლებლის მინილექცია Microsoft PowerPoint -ის პროგრამით შექმნილი პრეზენტაციის თანხლებით
3. დაკავშირება ქართულ ლიტერატურასთან და ლექსების აუდიოჩანაწერების მოსმენა. (ხალხური „შემომეყარა ყივჩაღი“ და გიორგი ლეონიძე „ყივჩაღის პაემანი „)
4. ვადარებთ ნაწარმოებებს და ვმსჯელობთ მსგავსება-განსხვავებებზე.

5 .შეჯამება--მოსმენილი და გადმოცემული რეალობის მიმართ მეტი კრიტიკულობა გვმართებს. პოსტმოდერნიზმი ყველაფერს განმარტავს, მაგრამ ერიდება შეფასებებს. თავისი არსით ის საოცრად ტოლერანტულია. ცნობილი ფრანგი კულტუროლოგი და მოაზროვნე ჟან ბოდრიარი პოსტმოდერნს „სცენის ეპოქას“ უწოდებს, რომლის დაგვირგვინებასაც ტელევიზია წარმოადგენს. აქ ერთმანეთს ერწყმის სუბიექტური და ობიექტური წარმოდგენები, ტყუილ-მართალი. ამიტომ მასმედით გადმოცემული თუ ისე მოსმენილი ფაქტების შეფასებისას, ჩვენც უნდა ვეცადოთ მოვლენათა მრავალმხრივ გააზრებას.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

მასწავლებელთა კონფერენცია

- ბოლო ეტაპი იქნება დაბრუნება გამოწვევასთან ---მოსწავლეებს ექნებათ საშუალება ფაქტებისა და შეფასების სქემაში დაამატონ ან შეცვალონ საკუთარი მოსაზრება,იმის გათვალისწინებით, რაც გაკვეთილზე მოისმინეს.დავალებად კი ვთხოვ, რომ მოიძიონ და ნახონ ცნობილი იაპონელი რეჟისორის „აკირა კუროსავას,ფილმი „რასიომონი“ და დამიწერონ შთაბეჭდილებები.
- **მოსწავლეებს შევაფასებთ შემდეგი კრიტერიუმებით:**
 - 1)მოსწავლე იაზრებს ტექსტს ზედმიწევნით და ავლენს სიღრმისეულ ცოდნას
 - 2)მოსწავლე აანალიზებს ფაქტებსა და მოვლენებს და აკავშირებს ლიტერატურულ ტექსტთან
 - 3)მოსწავლე მსჯელობს ტექსტში დასმული პრობლემების შესახებ, განიხილავს სხვადასხვა პოზიციას და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები

მასწავლებელთა კონფერენცია

გამოყენებული რესურსების ტიპები:

- სქემები
- ტექსტი
- ვიდეომასალა
- აუდიომასალა
- Microsoft PowerPoint -ში პრეზენტაცია
- ფილმები

ვფიქრობ,ეს გაკვეთილი პირდაპირ უკავშირდება მედიაწიგნიერების მიზნებს და ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი უნარების განვითარებას.

მათ შორის, მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრებას,ინტერპრეტირებას,

გამოყენებასა და შექმნას.ასევე, მედიასამყაროში ორიენტირებას,სწორი არჩევანის გაკეთებას, ინფორმაციის გაფილტვრასა და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას.

მასწავლებელთა კონფერენცია

ფხიზლად, მეგობრებო... ჩვენ ხომ ოცდამეერთე საუკუნის შვილები ვართ...



სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

მასწავლებელთა კონფერენცია

გმადლობთ

ყურადღებისათვის

ავტორი ეკა დონაძე
თბილისის 71-ე საჯარო სკოლა
ekadonadze@gmail.com
2016 წელი

“მოსე ზამთარაძის ნაამბობი”

ეკა ცხადია

ზობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის #2 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
2016 წელი.

სწავლება და თანამედროვეობა

- თანამედროვე სამყარო-„ინფორმაციული საზოგადოების“ ცივილიზაცია.
- ამ საზოგადოებაში ყველაზე ღირებული პროდუქტი გახლავთ ინფორმაცია.
- მოზარდების პიროვნებად ჩამოყალიბებაში უფრო და უფრო მეტ როლს თამაშობს ციფრული და საინფორმაციო გარემო.
- საინფორმაციო ეპოქა ცვლის სასწავლო პარადიგმას;
- რომ დაიმკვიდრო ასეთ საზოგადოებაში ღირსეული ადგილი უნდა მოემზადო ადრეული ასაკიდან.

„ავი და კარგი გარჩევით, ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია.
მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია“

მედიაწიგნიერების მთავარ მიზანი :
ადამიანების გაძლიერება
მედიაპროგრამირების გასაკონტროლებლად.



- თემა: „მოსე ზამთარაძის ნაამბობი“- ნაწყვეტი რომანიდან „დათა თუთაშხია“.
- მე-9 კლასი დაწყვილებული გაკვეთილი
- მიზანი:
- ამოიცნოს და განსაზღვროს ნაწარმოების კონცეპტუალური იდეა, ავტორისეული პოზიცია. სწორად ჩამოაყალიბოს ნაწარმოებში გადმოცემული პრობლემა; შეძლოს განზოგადება, რეალურ ცხოვრებაში მსგავსი პრობლემის იდენტიფიკაცია.

ესგ-სთან შესაბამისობა

ქართ. IX. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს

- სხვადასხვა თვალსაზრისი სადავო ან პრობლემურ საკითხზე.

ქართ. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-განაალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.


გაკვეთილის მიზნის მედიაწიგნიერების სტანდარტთან შესაბამისობა

- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
- კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების, ინფორმაციის მოძიება-დახარისხების, ძირითადის გამოკვეთისა და დასკვნების გაკეთების უნარი

გაკვეთილი შედგება სამი ნაწილისაგან

1 ნაწილი

- ანალიზისთვის საჭირო კითხვებზე ჯგუფური მუშაობა;
- ტექსტში ნაჩვენები საზოგადოების იდენტიფიცირება .



მეორე ნაწილი

- ტოტალიტარიზმის არსის შეხსენება
- მასწავლებლის პრეზენტაცია
- ვიდეოფილმის ჩვენება - „არქიფო სეთური“ და „საირმის ტყის საზოგადოება“,
- . ტექსტთან პარალელის გავლება, სქემის შევსება
- სამოქალაქო ლექსიკონში განმარტებულ ტერმინთა ანალოგების ტექსტში დაძებნა

ტერმინი	განმარტება	ციტატები ტექსტიდან (სავარაუდო პასუხები)
ტოტალიტარიზმი	პოლიტიკური რეჟიმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში სრული კონტროლისკენ სწრაფვა.	1. „ხალხს თუ უთხარი, ადამიანი ხარო, რას გეტყვის, თუ იცი? ადამიანი თუ ვარ, მეც შემოიღია შენი მაგივრობა გავწიო და გამოდი მაქედანო. გამოვალ, დაჯდება და გაუბედურდება. ცხენი და სახედარი ხარ-თქვა, უნდა ელაპარაკო! ადვილად იჯერებენ ამას.“ 2. „ადამიანი სანამ მარტოა და არავის ენდობა, იქამდე ვარგა სხვებისთვისაც და თავისთვისაც, პირის შეკვრას რომ ისწავლიან, მერე კაი აღარაფერი გამოვა მათი ხელიდან.“ 3. „კაცისთვის კაი თუ გინდა, არ უნდა გააძლო და გააღორმუცელო“.
დემაგოგია	ცრუ დაპირებით, ფარისევლობით გავლენის მოხდენა პოლიტიკურად შეუგნებელ მასებზე, მათი წდობის მოსაპოვებლად.	1. „ხალხზეთუ არ ვიზრუნე და სულ მათ კაი ცხოვრებაზე თუ არ ვიფიქრე, აპა, რისთვის ვარ მე! „ 2. „ადამიანი უღუწურია და მე მათთვის რომ ვარ, ისინი ჩემ წინააღმდეგ და ეშმაკულის მხარეს არიან. აპა!“ 3. „ბრალო ჩემი, რომ ეშმაკობა მიხდება და გაწვალებული ვარ.“
ადამიანების დიდი ჯგუფი, უმართავი და გაღიზიანებული, რომელშიც ადამიანები გაერთიანებულნი არიან შემოსაზღვრული ფიზიკური სივრცით და მძაფრი ემოციური განწყობით.		1. „აგერ ბიჭი მოიწვეს და დიდ, მამფურისხელა ისარს მიმიზნებს... ეგერ, ე, მთელი გუნდი მოდის, დიდი ქვები უჭირავთ ორივე ხელში“. 2. „ხოლო მომდევნელმან ჩვენის პურისა და სარჩოსი, მამან ჩვენთან უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელ არს არქიფო, იცოცხლოს მარადეამს.“ 3. „რას ამბობს და, მარჩენალზე - მამამაღლი და თამბაგარზე მოსასპობიო! -მამამაღლი და მოსასპობიო? გაგვაუბედუროს უნდა, ხომ?“
ტირანია	ერთპიროვნული მმართველობა, რომლის დროსაც კანონი კი არ არის უზენაესი, არამედ მმართველის ნება-სურვილი.	1. „ხუთ საათზე ვაყენებ ხალხს“.. 2. „კაცი შიშსა და მოკრძალებას რომ დაკარგავს, მაშინ გაუბედურდება სწორედ.“ 3. „გოჭები დაზარდა მაგან, 9 იყო. 6 მე წამოვიყვანე, 3 მას დავუტოვე. გაყიდა, ფული შეუვიდა ოჯახში და მიტომ თქვა. 8 უნდა წამომეყვანა, მისთვის 1 უნდა დამეტოვებინა“. 4. „შენ უნდა მოუფიქრო ხალხს იმედი. მოვიგებ მე ჩემი ხალხისთვის იმედი და წამეტანი იმედიანად მყავს ყველა.“ 5. „ახალი ფანდის მოგონება ჯობს სარჩოს მომატებას. უფრო საიმედოა ეს“.

მეორე ნაწილი

- პერსონაჟთა დამახასიათებელი სქემის შევსება-პრეზენტაცია
- საირმეს ტყის განზოგადება, ტოტალიტარული სისტემის ნიმუშად

სქემა N2

როგორ გამოიყურება პერსონაჟი? (აღწერეთ მისი ძირითადი მახასიათებლები)	რა ამბობს პერსონაჟი? (დაწერეთ, რა არის მისი სათქმელი)
1.	1.
2.	2.
3.	3.
როგორ იქცევა პერსონაჟი? (აღწერეთ მისი ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში)	რას გრძნობს პერსონაჟი? (აღწერეთ მისი განცდები)
1.	1.
2.	2.
3.	3.
რას ფიქრობთ პერსონაჟზე? (დაწერეთ თქვენი შეხედულება მის შესახებ)	

კითხვები	სავარაუდო პასუხები
შეიძლება თუ არა საირმეს ტყე განვაზოგადოთ და ტოტალიტარული სისტემის ნიმუშად მივიჩნიოთ?	საირმის ტყე არის მეტაფორა და ის ტოტალიტარული რეჟიმის სიმბოლოა. აქვს ყველა მახასიათებელი, რაც ასეთ რეჟიმებს აქვს: ჩაკეტილი საზოგადოება, ბელადი, კანონი არის ბელადის სიტყვა, ადამიანები ბრბოდ არიან ქვეუღნი, მათ არ აქვთ საკუთარი ნება. უკრიტიკოდ იღებენ ბელადის ბრძანებებს. ტოტალიტარული რეჟიმები ყველს ღროსა და ყველს ქვეყანაში მსგავსად ხასიათდებიან. ერთმანეთს ჰგვანან, ამიტომ სურამის ტყეში აღწერილი საზოგადოება შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი ტოტალიტარიზმის ნიმუშად.
რა არის შედეგი ასეთი სისტემის?	შედეგი ასეთი სისტემისა არის ადამიანის ბრბოს წევრად გადაქცევა, ნების არქონა, სრული მოწონება.
რა შეიძლება დავასკვნათ?	როცა ადამიანი ემორჩილება სხვათა ბრძანებებს, ეგუება უსამართლობას, თანახმაა, მის წაცვლად სხვამ იფიქროს და გადაწყვიტოს, რა ჯობს მისთვის, როცა ის აღიარებს ბელადის არსებობას, იწყება მისი მოწონება. ადამიანების უსახურ ბრბოდ გადაქცევის კიდევ ერთი საშუალებაა მასობრივი გამოსვლები (აღლუმები), ზეიმები, რომლის მონაწილეებმაც უსასრულოდ უნდა იმეორონ ბელადის სადიდებელი ტექსტები, სიმღერები, ლოზუნგები(პასუხები სავარაუდოა, შესაძლებელია, მოსწავლეებმა სხვა აღმოჩენები გააკეთონ).

მესამე ნაწილი

- დოკუმენტურ მედიაარესურსზე დაყრდნობით შექმნილი ვიდეოფილმის ნახვა
- მე-20 საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმების შემქმნელების - მუსოლინის, ჰიტლერისა და სტალინის საზოგადოებასთან ურთიერთობის მონაკვეთები.

შეჯამება

მესამე ნაწილი

- მოსწავლეები, „ბელადების“ ნახვის შემდეგ მსჯელობენ ფილმში ნანახზე, აკეთებენ მედიარესურსის ანალიზს;

სცენა N1	სავარაუდო პასუხი
დიქტატორის სახელი	დუჩე, ბენიტო მუსოლინი
ეპიზოდის შინაარსი	ხდება იტალიაში
მუსიკა/ხმა	წამყვანი საუბრობს აღფრთოვანებული ხალხის შემხილების ფონზე.
წამყვანის ხმა	მშვიდი, გაწონასწორებული
კადრი	მუსოლინი ესალმება ხალხს, ის ფაჯრიდან იყურება, ხალხი სიხარულით ესალმება ბელადს. ხალხი გამოსულია პლაკატებით.
დიქტატორის სახე	მუსოლინი მტკიცედ და ომანიანად ესალმება ხალხს. ის ძლიერი და პრინციპული ადამიანია.
როდისაა გადაღებული ფილმი?	1940 წელს

სცენა N2	სავარაუდო პასუხი
დიქტატორის სახელი	ფიურერი, ადოლფ ჰიტლერი
ეპიზოდის შინაარსი	ჰიტლერი ხდება პარტიის წევრებს, გერმანია, 1939.
მუსიკა/ხმა	ამაღლებული განწყობაა. ჰიტლერი ამბობს სიტყვას ხალხის შემხილების ფონზე.
წამყვანის ხმა	
კადრი	ბელადი მიმართავს პარტიის წევრებს. ის ტრიბუნაზე დგას, ხალხი სიხარულით ესალმება ბელადს. ხალხი გამოსულია პლაკატებით.
როდისაა გადაღებული ფილმი?	მტკიცედ და ომანიანად საუბრობს.

სცენა N3	სავარაუდო პასუხი
დიქტატორის სახელი	ბელადი, იოსებ სტალინი
ეპიზოდის შინაარსი	სტალინისადმი მიძღვნილი სიმღერის ფონზე ნაჩვენებია საზეიმო მარში 1950 წელს.
მუსიკა/ხმა	ამაღლებული განწყობაა. ისმის სტალინისადმი მიძღვნილი სიმღერა.
წამყვანის ხმა	
კადრი	დროშებით, ლოზუნგებით შექმნილ სანახაობას სტალინი უყურებს კრემლიდან.
დიქტატორის სახე	გამოიყურება მტკიცედ, თავდაჯერებულად.
როდისაა გადაღებული ფილმი?	1950 წელს

შეჯამება

- მოსწავლეებმა შეისწავლეს ტექსტი, ისაუბრეს ტოტალიტარულ სისტემაზე, მმართველზე.
 - გაეცნენ ნაწყვეტებს ნაწარმოების მიხედვით
შექმნილიმხატვრული ფილმიდან და მეოცე საუკუნის
დოკუმენტურ კადრებს.
- ამ მასალაზე დაყრდნობით აკეთებენ დასკვნებს:

შეჯამება

- თუ როგორ შევადაროთ ერთმანეთს ისტორიული და მხატვრული სინამდვილე?
- საირმის ტყისა და ამ ფილმში ნანახ საზოგადოებას შორის ანალოგიის პოვნა.
- აკეთებენ დასკვნას, თუ რა გაიგეს გაკვეთილიდან.

კითხვები	სავარაუდო პასუხები
შეიძლება თუ არა საირმის ტყე განვაზოგადოთ და ტოტალიტარული სისტემის ნიმუშად მივიჩნიოთ?	საირმის ტყე არის მეტაფორა და ის ტოტალიტარული რეჟიმის სიმბოლოა. აქვს ყველა მახასიათებელი, რაც ასეთ რეჟიმებს აქვს: ჩაკეტილი საზოგადოება, ბელადი, კანონი არის ბელადის სიტყვა, ადამიანები ბრბოდ არიან ქვეუღონი, მათ არ აქვთ საკუთარი წება. უკრიტიკოდ იღებენ ბელადის ბრძანებებს. ტოტალიტარული რეჟიმები ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში მსგავსად ხასიათდებიან. ერთმანეთს ჰგვანან, ამიტომ სურამის ტყეში აღწერილი საზოგადოება შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი ტოტალიტარიზმის ნიმუშად.
რა არის შედეგი ასეთი სისტემის?	შედეგი ასეთი სისტემისა არის ადამიანის ბრბოს წევრად გადაქცევა, წების არქონა, სრული მოწომა.
რა შეიძლება დავასკვნათ?	როცა ადამიანი ემორჩილება სხვათა ბრძანებებს, ეგუება უსამართლობას, თანახმაა, მის წაცვლად სხვამ იფიქროს და გადაწყვიტოს, რა ჯობს მისთვის, როცა ის აღიარებს ბელადის არსებობას, იწყება მისი მოწომა. ადამიანების უსახურ ბრბოდ გადაქცევის კიდევ ერთი საშუალებაა მასობრივი გამოსვლები (აღლუმები), ზეიმები, რომლის მოწაწილეებმაც უსასრულოდ უნდა იმეორონ ბელადის სადიდებელი ტექსტები, სიმღერები, ლოზუნგები(პასუხები სავარაუდოა, შესაძლებელია, მოსწავლეებმა სხვა აღმოჩენები გააკეთონ).
დასკვნის სახით მოკლედ გადმოვცით, თუ რა გაიგეთ დღევანდელი გაკვეთილიდან.	ა) ტოტალიტარიზმი მოწობის გზაა. ბ) ტირანი მმართველები ერთმანეთს ჰგვანან მიზნებით და მართვის ხერხებით. გ) ბელადი მანია იწვევს მოწობას.

- ტექსტის გაგებისა და ანალიზისთვის, პარალელებისთვის გამოყენებული მედიარესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, სწავლობენ მულტიმედიურ ტექსტებიდან სწორი ინფორმაციის მიღებას
- ჩვენ შეთხვევაში გამოყენებული მულტიმედიური რესურსი წარმოადგენდა ტექსტის ვიზუალურ ანალოგს. ამ მონაკვეთის ჩვენებით მოსწავლეები უკეთ იაზრებენ პერსონაჟს . აკვირდებიან ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას. აკვირდებიან დიალოგებს, გამოაქვთ დასკვნები..

რესურსი ნათლად აჩვენებს , თუ როგორია ადამიანის ბრბოდ გადაქცევის მექანიზმი; როდის ხდება საზოგადოება მასა; რა არის ტოტალიტარული მართვის ხერხი, რომლითაც საზოგადოება ერთ, მთლიან,

უსახურ, უგუნურ ბრბოდ იქცევა;

წარმოდგენილი მედიარესურსებით მოსწავლეები თემასთან ერთად სწავლობენ სწავლობენ:

კრიტიკულ აზროვნებას,

მასალაზე დაყრდნობით იქმნება ახალი ტექსტი(ესე, რეფერატი..)

ხდებიან უფრო დაკვირვებულები,

ემებენ ალტერნატიულ პასუხებს.

მასწავლებელს კი საშუალებას აძლევს გაამრავალოფეროვნოს სასწავლო პროცესი. ხელი შეუწყოს მოსწავლეებში კრუტიკულ, შემოქმედებითი უნარებია განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა
მედიაწიგნიერება

<http://cdi.org.ge/uploads/pages/29.pdf>

გაკვეთილის დეტალური ვერსია - სამოქალაქო
განვითარების ინსტიტუტის მედიაწიგნიერების ვებ
პორტალი:

<http://medialiteracy.ge/ge/resources/id/56/cisferyanwelebi>

გმადლობთ ყურადღებისთვის!

შპს „ბესიკ ნიპარიშვილი“ მ/პ სკოლა–გიმნაზია

პრეზენტატორი :

სამოქალაქო განათლების პედგოგი : ნინო ნიპარიშვილი

საპრეზენტაციო თემა: როგორ დაიბადა ფაშისტურ გერმანიაში ანტისემიტიზმი



გაკვეთილის მიზანი

ანტისემიტიზმის, როგორც ისტორიული რეალობის აღქმა და მისი კრიტიკული ანალიზი. მსჯელობითა და დოკუმენტური მასალის დახმარებით სწორი დასკვნების გამოტანა. გამოყენებული ვიდეო მასალის კრიტიკული ანალიზი.

მედიაწიგნიერების მიზანი:

მედიაარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება. სხვა და სხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება. მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვა და სხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

გაკვეთილის ეტაპები:



გამოყენებული მედია რესურსი:


პლაკატი
ფოტო
ტექსტი
ვიდეო
სტატია



www.ucnauri.com

ფიურერის შეხვედრა ბავშვებთან

კითხვა	სავარაუდო პასუხი
ვინ არის სურათის აუდიტორია?	ხალხი
რა მიზანს ემსახურება სურათი?	ფიურერს უყვარს ადამიანები
როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს სურათი?	მოსახლეობაში ნაცისტების მიმართ კეთილგანწყობას
თქვენი აზრით რას ემსახურება ეს პროპაგანდა?	ფიურერის მიმართ ნდობას, მორჩილებას და ფანატიზმს
რომელ ქვეყანაში ხდება მოქმედება?	გერმანიაში
როდის და ვის მიერაა შექმნილი პლაკატი?	ფოტო გადაღებულია ჰიტლერის მმართველობის პერიოდში, სავარაუდოდ გერმანული ფაშისტური ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ.



იყო თუ არა ყველა გერმანელი
ანტისემიტი?

მოსწავლის საკითხავი
მასალა:

მარლენ დიტრიხი

თომას მანი



ვიდეო რესურსი

- ფილმის „შინდლერის სია“ ეპიზოდების ჩვენება





ს ქ ე მ ა

კითხვა	პასუხი
როგორ ფიქრობთ, რისი თქმა უნდოდა რეჟისორ სტივენ სპილბერგს?	მსოფლიოსთვის დაენახვებინა ანტისემიტიზმის შედეგები და გაეცოცხლებინა ოსკარ შინდლერის დოკუმენტალისტიკა.
როგორ თქვა თავისი სათქმელი?	სტივენ სპილბერგმა შესანიშნავად გადმოსცა სათქმელი რეალური და მხატვრული ელემენტების სინთეზით
თქვენი აზრით, რა ემოციას იწვევს ფილმში გამოყენებული მუსიკები?	მუსიკა ზუსტადაა შერჩეული, ისტორიის შესაბამისი
როგორაა შერჩეული მთავარი როლის შემსრულებელი?	მთავარი როლის შემსრულებელი მაქსიმალურადაა დამსგავსებული რეალურ ოსკარ შინდლერს, ის სიმპატიური, ჭკვიანი და მიზანმიმართული ადამიანია
როგორ ფიქრობთ, ასახულია თუ არა ისტორიული რეალობა მაქსიმალური სიზუსტით?	რეჟისორი მაქსიმალური სიზუსტით ასახავს ებრაელთა დისკრიმინაციის ფაქტებს
როგორ შეფასებას მისცემდით ნაჩვენები ფილმის ნაწყვეტებს?	ემოციური, შთამბეჭდავი და სენსიტიური საყურებელი

ადოლფ ჰიტლერის გამოსვლა

კითხვა	სავარაუდო პასუხი
როგორ საუბრობს ჰიტლერი?	ემოციურად
როგორ შეაფასებდით ფიურერის გამოსვლას?	დიქტატორული
როგორ ფიქრობთ, რისკენაა მისი გამოსვლა მიზანმიმართული?	ადამიანების დამონებისა და ფანატიზმისკენ
ყველაზე მეტად რითი დაგამახსოვრდათ ფიურერის გამოსვლა	ემოციებით, მიმიკებით



გიუნტერ გრასი: „ის,რაც უნდა ითქვას...“

2006 წელს გიუნტერ გრასმა აღიარა, რომ 17 წლის ასაკში, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე რამდენიმე თვის თვით ადრე გერმანული არმიის ერთ-ერთ დანაყოფში მსახურობდ



თავად გიუნტერ გრასმა კი განმარტა, რომ მან თავისი ლექსით გააკრიტიკა არა ისრაელი, როგორც ერი, არამედ ისრაელის ამჟამინდელი პრემიერ მინისტრის ბენიამინ ნათანიაჰუს მთავრობის პოლიტიკა.

კითხვა	პასუხი
რაზე აკრიტიკებს ისრაელის მთავრობა გრასს?	გრასმა გამოაქვეყნა სკანდალური ლექსი „ის რაც უნდა ითქვას“
რა არგუმენტები მოყავს კრიტიკის ავტორს ლექსის ანტისემიტური შინაარსის შესახებ?	გრასის მიერ გამოქვეყნებული ლექსი მახინჯი და ყალბია ”თუ გიუნტერს სურს თავისი მახინჯი და ყალბი ნაწარმოებები გაავრცელოს, ვთავაზობ, ეს დაიწყოს ირანიდან, სადაც მას მხარდამჭერი საზოგადოების პოვნა არ გაუჭირდება,” – ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრს ციტირებს Daily Mail.
რაში ადანაშაულებს მედია გრასს	მედია გრასს ადანაშაულებს ანტისემიტიზმში
რა არგუმენტები/ფაქტები მოყავს მედიას გრასის ანტისემიტიზმის დასამტკიცებლად?	ბრიტანული გამოცემა Daily Mail წერს, რომ მოგვიანებით ისრაელის შს მინისტრმა განმარტა, რომ გრასის 70 წლის წინანდელი წარსულის გახსენების მიზეზი მისი ”ანტისემიტური” ლექსი გახდა. 2006 წელს გიუნტერ გრასმა აღიარა, რომ 17 წლის ასაკში, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე რამდენიმე თვის თვით ადრე გერმანული არმიის ერთ-ერთ დანაყოფში მსახურობდა.
რას ამბობს ლექსზე გიუნტერ გრასი?	თავად გიუნტერ გრასმა კი განმარტა, რომ მან თავისი ლექსით გააკრიტიკა არა ისრაელი, როგორც ერი, არამედ ისრაელის ამჟამინდელი პრემიერ მინისტრის ბენიამინ ნათანიაჰუს მთავრობის პოლიტიკა.
რა ღონისძიებებს მიმართა ისრაელმა გრასის წინააღმდეგ?	ისრაელმა მწერალი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა და ქვეყანაში შესვლა აუკრძალა

მ ა ს ა ლ ა

სალექციო მასალა – პრეზენტაცია

მოსწავლის საკითავი მასალა

სქემები

შეფასების რუბრიკა

შეფასება: განმავითარებელი შეფასება

კრიტერიუმები	კი	არა
მოსწავლემ შეძლო სახვა და სხვა წყაროს ანალიზი		
მოსწავლემ იმსჯელა ანტისემიტი და არა ანტისემიტი გერმანელების შესახებ		
მოსწავლემ იმსჯელა ინფორმაციის გადამოწმების აუცილებლობის შესახებ		
მოსწავლემ მასალაზე და წყაროებზე დაყრდნობით მოახდინა პრობლემის კრიტიკული ანალიზი და გამოხატა თავისი დამოკიდებულება		

შ ე დ ე ბ ი

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები გამოიმუშავენ ინფორმაციის
დახარისხების ანალიზის უნარს

მოსწავლეებმა დაინახონ როგორ გადმოცემენ ანტისემიტიზმის თემას სხვა და
სხვა პერიოდში

გმადლობთ
ყურადღებებისთვის!

მედიაწიგნიერება
საგანმანათლებლო სივრცეში

ისტორიის მასწავლებელი: ნინო აბულაძე

abuladze1973@gmail.com



ნინო აბულაძე

„მედიაწიგნიერების განათლების მიზანია, ყველა ასაკის ინდივიდს დაეხმაროს კვლევისა და გამოხატვის უნარების განვითარებაში; რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს კრიტიკული აზროვნების და ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას“ - ასე განსაზღვრა მედიაწიგნიერების განათლების ეროვნულმა ასოციაციამ მედიაწიგნიერების ათვლის წერტილი ;
ძნელია არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, მითუმეტეს თუ მასწავლებელი ხარ და უშუალოდ გიწევს მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება ..

რა არის მედიაწიგნიერება?

რამდენად ვიცნობთ დღეს ამ კომპეტენციას , რატომ არის საჭირო მისი დანერგვა სასწავლო პროცესში და როგორ შევძლოთ დავგეგმოთ გაკვეთილი?

სწორედ ამის შესახებ მსურს გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება .

მედიაწიგნიერება_ ეს არის

” იმ ცოდნისა და ინსტრუმენტების კრებული, რომელიც გვებმარება შევქმნათ სწორი გზავნილები და შემხვედრი გზავნილების მნიშვნელობა სწორად განვმარტოთ.”

p.S ა მედიაწიგნიერება არ არის მედიაგანათლება !





„მედიაწიგნიერების კონცეფცია დაკავშირებულია კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან. კერძოდ, თუ მედიაწიგნიერებას განვიხილავთ, როგორც, ერთი მხრივ, ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში ორიენტირების, ინფორმაციის გაფილტვრის და, მეორე მხრივ, ახალი ინფორმაციის/ცოდნის შექმნისა და გაზიარების ინსტრუმენტად, ადვილია დავინახოთ მისი კავშირი კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან. ინფორმაციის გაფილტვრა რთულია კრიტიკული აზროვნების უნარის გარეშე, ხოლო ახალი ინფორმაციის შექმნას კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება სჭირდება.....”

„მედიაგანათლების ფარგლებში ცოდნას იღებენ ჟურნალისტები, ხოლო მედიაწიგნიერება არის ის კომპეტენცია, რომელიც გვჭირდება, რომ გავიკვლიოთ გზა ინფორმაციით გაჯერებულ სამყაროში.“

ჩვენ საკლასო ოთახში
მოსწავლეებისათვის მთავარი
მედია არის წიგნი , მაგრამ
აუცილებელია მრავალფეროვნება
მედია რესურსებში - მაგ.
პლაკატების, ვიდეორესურსების,
დოკუმენტური მასალების ,
რუკების , სასწავლო რესურსების
გამოყენება ..



რატომ მედიაწიგნიერება ?

ჩვენ ცხოვრებაში მედიას დიდი როლი აკისრია, მოზარდმა უნდა შეძლოს , არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება და გაცნობა, არამედ შეძლოს მისი შეფასებაც. შინაარსის, დანიშნულების და ხარისხის მიხედვით, ინფორმაციის დახარისხება , ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გამოყენება



„მოზარდებს კარგად არ აქვთ განვითარებული განსჯის შემეცნებითი, ემოციური და მორალური უნარი ” ამიტომ გასაკვირი არ არის , რომ ხშირად მანიპულაციისაგან თავს ვერ იცავენ,

მე ვცდილობ მედიაწიგნიერება აქტიურად დავნერგო ჩემ საგაკვეთილო პროცესში , რათა შეძლონ მედიაგზავნილების სწორი გამოყენება, „ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში ორიენტირება“, ასევე აუცილებელია მათ იცოდნენ ინფორმაციის გაფილტვრარაც უშუალოდ დაკავშირებულია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაზე



ისტორიის სწავლებამ მოსწავლეს სხვა უნარ-
ჩვევებთან ერთად , უნდა განუვითაროს
კვლევითი ჩვევა და პრობლემის გადაჭრის
უნარი, ამისათვის საჭიროა მოსწავლემ კარგად
აღიქვას ისტორიული ეპოქა, შეძლოს
არსებული ინფორმაციების მოძიება
დახარისხება, ძირითადის გამოყოფა , ასევე
მსჯელობითა და ავთენტური დოკუმენტური
მასალებზე დაყრდნობით სწორი დასკვნების
გაკეთება

მედიაწიგნიერება 21-ე საუკუნის ახალი გამოწვევაა..

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია გითხრათ, რომ მედიაწიგნიერების მეთოდის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ხელს უწყობს მოზარდებში აუცილებელი უნარ-ჩვევების ინტეგრირებას, კერძოს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებით აზროვნები, ინფორმაციების მოძიება - დახარისხების, ძირითადის გამოკვეთისა და დასკვნების გაკეთების უნარს



დღეს ჩვენი მოსწავლეები ნაკლებად იცნობენ იმ მოვლენებს, რაც ხდებოდა მე-20 საუკუნის 20-40-იან წლებში, სკოლის სახელმძღვანელოებში ამ პერიოდის შესახებ მასალა მცირეა, ნაკლებად იძლევა საშუალებას ზუსტად გაანალიზოს მოსწავლემ რა იყო რეპრესიები.. მედიასივრცეში ჩვენ მოსწავლეებს კი ხვდებათ სხვაადსხვა გზავნილები

1. სტალინის პერიოდში ყველაფერი კარგად იყო
2. სტალინის დროს დახვრიტეს მილიონობით ადამიანი.. და ა.შ


ამ ურთიერთგამომრიცხავ მოასაზრებებში მოზარდს უჭირს ორიენტირება, ამისათვის საჭიროა სასწავლო პროცესში დავგეგმოთ ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლემ უკეთ გაანალიზოს - რა ხდებოდა 30-იანი წლების საქართველოში და ზოგადად, გაიაზროს რა არის ტოტალიტარიზმი

როგორ შეიძლება
დავგეგმოთ და ჩავატაროთ
ისეთი გაკვეთილი, რომელშიც
ე.ს გ-თან ერთად
გათვალისწინებული იქნება
მედიაწიგნიერების მიზნები?



იმისათვის რომ უკეთ შევძლო პასუხის
გაცემა, გთავაზობთ ჩემს მიერ დაგეგმილ
გაკვეთილს

კრიტიკული რეპრესიები საბჭოთა საქართველოში



გაკვეთილის სრული ვერსია შეგიძლიათ
იხილოთ სამოქალაქო განვითარების
ინსტიტუტის მიერ შექმნილ საგანმანათლებლო
ვებპორტალზე
[მედიანიგნიერება](#)



საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებმა უნდა შესძლოს:

ისტორიული ეპოქის
აღქმა და გაანალიზება

მსჯელობითა და
ავთენტური
დოკუმენტურ
მასალებზე
დაყრდნობით სწორი
დასკვნების გაკეთება


არგუმენტირებული
მსჯელობა

გაკვეთილზე მოსწავლეები
განივითარებენ კვლევით
უნარებს, შეძლებენ
ინფორმაციის გაფილტვრას და
კრიტიკულად შეაფასებენ
საკითხზე საკუთარ
წარმოდგენებს

ე.ს გ- XII.3. მოსწავლეს
შეუძლია XX საუკუნეებში
მმართველობით
სტრუქტურებში მომხდარი
ცვლილებების ანალიზი. ისტ.
XII.4. მოსწავლეს შეუძლია
პოლიტიკური ისტორიის
საკითხების კვლევა

ისტორიის გაკვეთილზე ჩემ მოსწავლეებთან ერთად მე ხშიარდ განვიხილავ როგორც დოკუმენტურ მასალას, ასევე ვიყენებთ იმ მედიარესურსებს , რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომია, კონკრეტული გაკვეთილის მაგალითზე , შემიძლია შემოგთავაზოთ მედიაწიგნიერების ის მიზნები, რომელიც დაეხმარება ჩვენ მოსწავლეებს მოახდინონ სხვადასხვა ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება; ამავე დროს განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნება და შეძლებენ არგუმენტირებულ მსჯელობას

მედიარესურსების
მიზნები



- ☐ მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- ☐ სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
- ☐ მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა

გაკვეთილის შედეგი:

მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება, მედიაში გაშუქებული ამბის ტექნიკური ხერხების ანალიზი.

გაკვეთილზე - (ე.ს გ)

- ❑ ჯგუფური დისკუსიისას ისტორიულად სტალინის მმართველობით სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებების შესახებ მსჯელობა;
- ❑ ჯგუფური მუშაობისას სახელმწიფო მოწყობის სისტემების შედარება;
- ❑ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გამოყოფა;
- ❑ უახლოესი პერიოდის ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯების შესახებ მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა

პლაკატი N1 „სტალინი - ბედნიერი
ზოვრების შუქურა“



პლაკატი N2 „სტალინი - ადამიანთა
ბედის გამგებელი“



ისტორიული ეპოქის უკეთ გასააზრებლად შეგვიძლია ვაჩვენოთ მოსწავლეებს 30-იანი წლების ამსახველ ორ პლაკატი და შევთავაზოთ რომ მოახდინონ შედარება ამ ორი რესურსის და თან შევეცადოთ დავეხმაროთ მათ კვლევითი უნარების განვითარებაში, კერძოდ, შევთავაზოთ წინასწარ გამზადებული სქემა, სადაც იქნება დასმული შეკითხვები, მოსწავლე კი კარიკატურების დახმარებით შეეცდება გააზრებულად უპასუხოს შეკითხვებს;

სქემის ნიმუში

აქ გახლავთ როგორც დასმული
შეკითხვები გაკვეთილზე, ასევე
სავარაუდო პასუხები,
საგაკვეთილო პროცესში
აუცილებელია დავსვათ ისეთი
შეკითხვები, რომელიც
მოსწავლეებს დაეხმარება
კვლევითი უნარების
განვითარებაში;
მედიაგზავნილის ღრმა გაგებაში;

პლაკატი N2 „სტალინი - ადამიანთა ბედის გამგებელი“

კითხვები	სავარაუდო პასუხი
რომელ ქვეყანაში და როდის შეიქმნა პლაკატი?	სსრკ-ში ვერ შეიქმნებოდა; ამერიკაში; ევროპაში, იქ სადაც სოციალიზმი არ იყო.
როგორ აფასებს პლაკატი სტალინს?	მჩაგვრელს, კაცთმობულეს.
ვინ არის პლაკატის აუდიტორია?	ის, ვისაც სურდა რეალობის დანახვა, დასავლეთში მცხოვრები ხალხი.
რა მიზანს ემსახურება პლაკატი?	ეჩვენებინათ ბელადის ნამდვილი სახე.
რა ხერხებს იყენებს ავტორი მიზნის მისაღწევად?	ბელადი თავად მართავს პროლეტარიატს, რომელიც შეზღუდული ჰყავს მარხილში.
როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს პლაკატი?	მოუწოდებს ადამიანებს, არ დაემორჩილონ ბელადს; ადამიანი არ უნდა იყოს მონა.
თქვენი აზრით, რას ემსახურება ეს პროპაგანდა?	სტალინი არ არის დემოკრატი და ხალხზე მზრუნველი ლიდერი, ის ადამიანებს ჩაგრავს.



კარიკატურებზე მუშაობის დასრულების შემდეგ
, ვაჩვენოთ მოსწავლეებს დავით კაკაბაძის
ნახატი „მიტინგი იმერეთში“
ძალიან საინტერესოა რას მიაქცევენ
მოსწავლეები ყურადღებას იმერეთის მთებს, თუ
დემონსტრაციას , ასევე აუცილებელია
გამოხატონ საკუთარი მოსაზრება-
რას ხედავენ ნახატზე და რისი გადმოცემა
სურდა დავით კაკაბაძეს ამ ნახატის
საშუალებით.

ნახატის უკეთ გააზრებისათვის აუცილებელია დავსვათ ისეთი შეკითხვები, რომელიც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას უკეთ გაიზარონ ნახატი, გაანალიზონ მოვლენები და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები

აქვე გთავაზობთ კითხვა-პასუხის რეჟიმის ნიმუშს. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ უნდა დავსვათ ისეთი ტიპის კითხვები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება კვლევითი უნარების განვითარებაში

კითხვა-პასუხის რეჟიმი

კითხვები	საგარეუდო პასუხები
რა ჩანს მთავარ ფონზე?	იმერეთის პეიზაჟი, დემონსტრაცია;
თქვენი აზრით, რატომ გაჩნდა აქ დემონსტრაციის სიუჟეტი - მხატვრის სურვილით, თუ იძულებით?!	იმდენად ზედმეტია დემონსტრაცია ნახატზე, ვფიქრობ, რადგან აიძულა მხატვარი, ეს მიეხატა.
თქვენ ხედავთ დავით კაკაბაძის მოგვიანებით „ჩასწორებულ“ ვარიანტს, სადაც გამოსახულია მხოლოდ ერთი ბელადის - ლენინის სურათი. თქვენი აზრით, პირველ ვარიანტში ლენინის გარდა იქნებოდა თუ არა სხვა ბელადის სურათი?	სურათი შექმნილი არის 1942 წელს, ბელადი იყო სტალინი, ლენინის გვერდით აუცილებლად უნდა ყოფილიყო სტალინი.

შეკითხვა : რამდენად ახდენს პიროვნულ თავისუფლებაზე გავლენას ბელადის კულტი?იმისათვის რომ მოსწავლეებმა შეძლონ კრიტიკული აზროვნება და არგუმენტირებული მსჯელობა, ამისათვის ...

გაკვეთილის მსვლელობისას უნდა გავააქტიუროთ წინარეცოდნა, მოვახდინოთ სხვა საგნებთან ინტეგრირება, ამისათვის მოსწავლეებს ვთხოვ გაიხსენონ განვლილი მასალიდან ის ცნობილი ადამიანები, რომლებიც „დიდი ტერორის მსხვერპლი“ გახდნენ. მოსწავლეებს ვთხოვ იფიქრონ, რატომ „მოიშორა“ თავიდან ეს ადამიანები საბჭოთა რეჟიმმა რეპრესიების დროს.

იმისათვის, რომ მოსწავლემ თავისუფლად შეძლოს ინფორაციის მიღება, გაფილტვრა და ცოდნის ინსტრუმენტის შექმნა გაკვეთილზე, დაინახონ როგორ ებრძოდნენ რეპრესიების დროს თავისუფალ აზრს და როგორ ასწავლიდნენ მორჩილებას, რადგან ურჩობა „არამომგებიანი“ იყო. მე ვიყენებ ნაწყვეტს ფილმიდან ([ვალსი პეჩორაზე](#)), ამის შემდეგ მოსწავლეები უკვე თავად ამუშავებენ კონკრეტული პიროვნებების სასამართლოს „დადგენილებას“ - ერთი ოჯახიდან და თავად აკეთებენ დასკვნებს; მოსწავლეებმა უკვე იციან რომ ეს რეალური ისტორიებია და მათი მოძიება შეუძლიათ ელექტრონულ გვერდზე [სტალინური სიები](#) საქართველოდან

[illegible]



იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ გაანალიზება ვაჩვენებ ვიდეორესურს [სანდრო ახმეტელზე](#), რისი დახმარებითაც მოსწავლეებ რეალურ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ცნობილი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის დაპატიმრებისა და გასამართლების სურათის შესახებ ინფორმაცია.

ამ აქტივობების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად ვაკეთებთ დასკვნას – ჩვენთვის აუციელებელია სხვადასავ ინფორმაციების მიღება, გაფილტვრა, კონკრეტულად გაანალიზება- რა ხდებოდა სინამდვილეში და ზოგადად გავაანალიზოთ ეპოქა

დასკვნა - ჩვენ შეგვიძლია

ვებ-გვერდების, პლაკატების და ვიდეორესურსების
საშუალებით უკეთესად შევაფასოთ ის მოვლენები, რაც
ხდებოდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. ასევე მსგავსი
რესურსების გამოყენების შემდეგ ჩვენ შევძელით
დაასაბუთება, რომ ნებისმიერი დოკუმენტის
შესწავლისათვის აუცილებელია გავეცნოთ სხვადასხვა
ისტორიას, ეს კი საჭიროა იმისთვის, რომ შევძლოთ
ინფორმაციის გაფილტვრა და რეალობის დანახვა,
*„ერთი წაკითხვით“ მიღებული შთაბეჭდილება უნდა
გადამოწმდეს და ისე დაიწეროს რეალური ისტორია.*



გამოყენებული ლიტერატურა


მედიაწიგნიერება - ია ანთაძის , თაამრ მოსიაშვილის რედაქტორობით
მთარგმნელები -სოფიო კვერნაძე, ირინა ჯაფარიძე
სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

<https://usu.instructure.com/courses/23678/pages/chapter-1-mass-media-literacy>

[New Media Tools for Teachers](#)

[UNIT 5 - MEDIA LITERACY: THE POWER OF THE MEDIA](#)

მეთოდური მასალა მედიაწიგნიერებაში



სალომე თადუმაძე



ავთანდილ დეკანოძის სახელობის
ქ. ქუთაისის #32 საჯარო სკოლა



2016 წელი

სათაური: „ზოოპარკის ახალი ბინადრები“

კლასი: IV



საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა-
ბუნება

სასწავლო მიზნები:

- ✓ მოსწავლეები შეძლებენ მიიღონ და გაეცნონ ინფორმაციას პინგვინების მათთვის უცნობი სახეობის შესახებ.
- ✓ მოსწავლეები შეძლებენ საინფორმაციო წყაროზე დაკვირვების შედეგად აწარმოონ ჩანიშვნები.
- ✓ მოსწავლეები შეძლებენ ტექსტის აღქმა-გააზრებას, მიწოდებული ინფორმაციის „გაფილტვრას“, მათთვის საჭირო, ძირითადი საკითხების გამოყოფა-დაჯგუფებას.
- ✓ მოსწავლეები შეძლებენ შექმნან მიზნობრივი, მცირე ზომის არამხატვრული ტექსტი.
- ✓ მოსწავლეები შეძლებენ ინფორმაციულ წყაროზე (ვიდეო, ტექსტი...) დაყრდნობით მოიფიქრონ შეკითხვები წარმოსახვითი ინტერვიუსთვის და დაამზადონ მცირე ზომის რეპორტაჟი.
- ✓ მოსწავლეები შეძლებენ ინფორმაციულ წყაროზე დაყრდნობით შექმნან სარეკლამო-საინფორმაციო ბანერი მოკლე ტექსტური შეტყობინებებით, „სლოგანებით“

მედიაწიგნიერების მიზნები:

- ✓ მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- ✓ მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
- ✓ სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;
- ✓ მედიაში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი;
- ✓ სხვადასხვა მედიაფორმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

ე.ს.გ შესაბამისად მისაღწევი მიზნები:

- IV-1:ქართ- მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად აღიქვას სხვადასხვა სახის ტექსტი და გადმოსცეს მათი შინაარსი. გადმოსცემს არამხატვრული ტექსტის შინაარსს.
- IV-3:ქართ- მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევა დასახულ საკომუნიკაციო ამოცანას მიუსადაგოს. მეტყველებს გარკვევით და მკაფიოდ.
- IV-5:ქართ-მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობი თემების შემცვლელი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (რეკლამის, საყმაწვილო ჟურნალების,განცხადებების და ა.შ) წაკითხვა და გაგება.
- გამოყოფს და ასახავს ტექსტის მთავარ საკითხებს.
- მოიძიებს ტექსტში კონკრეტულ ინფორმაციას.
- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება- განსახვავებით).
- IV-9:ქართ- მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის მიზნობრივი ტექსტების სათანადოდ გაფორმება და ტექსტის არავერბალური ნაწილების ამოცნობა.
- ავლენს ტექსტის ვერბალური ინტერპრეტაციის უნარს.
- სათანადოდ აფორმებს მცირე ზომის მიზნობრივ ტექსტებს.
- IV-11:ქართ-მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა.
- შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით ადგენს მარტივ დარგობრივ ტექსტებს.
- ჩამოწერს შეკითხვებს წარმოსახვითი ინტერვიუსთვის.
- IV-2:ზუნ-მოსწავლეს შეუძლია დასახელოს ზოგიერთი ორგანიზმის ნიშან-თვისებების ადაპტაციური მნიშვნელობა.

გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილის თემისა და მიზნების გაცნობა - 3წთ.

ვიდეო-ჩვენება - 5წთ.

საინფორმაციო ტექსტი-7წთ.

„გონებრივი იერიშის რუკა“-3წთ.

ჯგუფური მუშაობა-10წთ.

პრეზენტაცია-10წთ.

გაკვეთილის შეჯამება და უკუკავშირი- 4წთ.

შეფასება და საშინაო დავალების მიცემა-3წთ.



ვიდეო-ჩვენება - 5წთ.

“ზოოპარკის ახალი ბინადრები”(ტელეკომპანია „იმედის“
გადაცემა „პანორამა“)

<https://www.youtube.com/watch>



მოსწავლეები ყურადღებით აკვირდებიან, ისმენენ და თეზისებად ინიშნავენ
მოცემული ინფორმაციის ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაეხმარება მათ
შემდეგი დავალებების შესრულებაში.

საინფორმაციო ტექსტი–7წთ.


თითოეული
მოსწავლე
ინდივიდუალურად
მუშაობს მისთვის
წინასწარ ამობეჭდილ
მოკლე საინფორმაციო
ტექსტზე
„პინგვინები“.



მოსწავლეები „მარკირების“
მეთოდის გამოყენებით ტექსტში
ინიშნავენ მათთვის საჭირო,
ძირითად ინფორმაციას აფრიკული
პინგვინების შესახებ .

„გონებრივი იერიშის რუკა“–3წთ.

მოსწავლეები
ვიდეომასალასა
და
საინფორმაციო
ტექსტზე
დაყრდნობით,
ავსებენ
გონებრივი
იერიშის რუკის
სქემას
აფრიკული
პინგვინების
შესახებ.



ჯგუფური მუშაობა და პრეზენტაცია–20წთ.

I ჯგუფი მწერლები –
ინფორმაციის წყაროზე
დაყრდნობით
(ვიდეომასალა, ტექსტი, ჩა
ნიშვნები) წერენ მოკლე
საინფორმაციო
საგაზეთო
ტექსტს: „ზოოპარკის
ახალი ბინადრები“



II ჯგუფი ჟურნალისტები
–ჯგუფის წევრები
იფიქრებენ და წერენ
შეკითხვებს სავარაუდო
პასუხებით და ამზადებენ
ინტერვიუს ზოოპარკის
ახალ ბინადართა
მომვლელ - დავითთან.

III ჯგუფი PR
მენეჯერები – ქმნიან
სარეკლამო ბანერს
საზოგადოების
დასაინტერესებლად, სად
აც ანთავსებენ
ილუსტრაციას ან
აპლიკაციას, მოკლე
ინფორმაციულ
ტექსტებს, „სლოგანებს“
აფრიკული პინგვინების
შესახებ.



მწერლები: საგაზეთო წერილი „ზოოპარკის ახალი ბინადრები“

„თბილისის ზოოპარკში ბრიტანეთიდან 19 აფრიკული პინგვინი ჩამოიყვანეს. ზოოპარკის ახალ ბინადრებს ქართველი მომვლელები ეყოლებათ. მათ კარგად იციან როგორ უნდა მოუარონ ჩვენი ზოოპარკის სტუმრებს. აფრიკული პინგვინი სხვა პინგვინების მსგავსად მრავლდება კვერცხით და იკვებება თევზით. ფრენისთვის გამოუსადეგარ ფრთებს კი სწრაფი ცურვისთვის კარგად იყენებს.

აფრიკული პინგვინი დანარჩენი პინგვინებისგან განსხვავებით არ არის ანტარქტიდის ბინადარი. მისი სამშობლო სამხრეთ-აფრიკაშია. იგი უცნაურ ხმებს გამოცემს, თითქოს ვირი ყროყინებსო. ამიტომ მას „ვირ-ყროყინა პინგვინსაც უწოდებენ.

სამწუხაროდ აფრიკული პინგვინი გადაშენების პირასაა და მას კარგი მოვლა სჭირდება.

ზოოპარკის ახალი ბინადრები მოუთმენლად ელიან მნახველებს.“

ჟურნალისტები: ინტერვიუ პინგვინების მომვლელთან

ჟურნალისტი—პინგვინების რომელი სახეობა ჩამოიყვანეს ზოოპარკში?

დავითი—მოგესალმებით. ზოოპარკს ესტუმრნენ აფრიკული „ვირ-ყროყინა“ პინგვინები

ჟურნალისტი—ვირ—როყინას რატომ ეძახიან?

დავითი—პინგვინის ეს სახეობა უცნაურ ხმებს გამოცემს, ვირის ყროყინის მსგავსს და სწორედ ამიტომ ეძახიან ვირ-ყროყინას.

ჟურნალისტი—ზოოპარკში რა პირობებში იცხოვრებენ პინგვინები?

დავითი—აქ მათ დავახვედრეთ ლამაზი პინგვინარიუმი დიდი აუზითა და ქვიშიანი სანაპიროთი, სადაც თიხის საბუდრებია მოწყობილი.

ჟურნალისტი—რითი იკვებებიან ჩვენი პინგვინები?

დავითი—ჩვენი პინგვინები სხვა პინგვინების მსგავსად ძირითადად თევზით იკვებებიან.

ჟურნალისტი—რითი განსხვავდება აფრიკული პინგვინი სხვა პინგვინებისაგან?


დავითი—პინგვინები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბუმბულის შეფერილობით, ნისკარტით, ზომით და სხვადასხვა ადგილზე ცხოვრები წესით.

ჟურნალისტი—როდიდან შეძლებენ ბავშვები პინგვინების მონახულებას?

დავითი—პინგვინების ნახვა დღესაც შეგიძლიათ, ისინი თბილისის ზოოპარკში მოუთმენლად გელიან.

ჟურნალისტი—დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

პიარმენუჯერები: სარეკლამო-საინფორმაციო ბანერი



გაკვეთილის შეჯამება და უკუკავშირი:

- ✓ როგორ აფასებენ მოსწავლეები გაკვეთილს?
- ✓ რა იყო მათთვის ახალი და საინტერესო?
- ✓ რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?
- ✓ რომელი გაუძნელდათ და რატომ?



შეფასების ინსტუმენტები:

ინდიკატორები	მოსწავლეს შეუძლია
ტექსტის აღქმა, ინფორმაციის კლასიფიცირება და შინაარსის გადაცემა.	ადეკვატურად აღიქვამს არამხატვრული ტექსტის შინაარსს, ახარისხებს და აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით, ფილტრავს ტექსტს, გამოყოფს და გადმოცემს ტექსტის მთავარ საკითხებსა და შინაარსს.
მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა და აგაფორმება.	მოსწავლე შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით ადგენს მიზნობრივ, ლაკონურ, მარტივ ტექსტებს და აფორმებს სათანადოდ (ილუსტრაციით, ასოციაციით, პიქტოგრამით დაა.შ).
საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.	ჩამოწერს შეკითხვებს წარმოსახვითი ინტერვიუსთვის– შესაბამისი ტექსტის მიხედვითა და შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით. მეტყველებს გარკვევით და კაფიოდ.
აღწერს ცხოველის ნიშან-თვისებებსა და ქცევას.	აკვირდება პინგვინების გარეგნულ ნიშნებს და ქცევას. საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით აღწერს ყველა თვისებას და უკავშირებს ქცევას.

ლექსიკონი

ვოლიერი–შემოღობილი ადგილი, სათავსო ცხოველებისა და ფრინველებისთვის. გალია.

მისია–საგანგებო დავალება, ვალდებულება. საპასუხისმგებლო როლი.

ბრიტანეთი–ერთ-ერთი ევროპული ქვეყანა(ინგლისი).

ადაპტირებული–შეგუება, შეწყობა. ორგანიზმის შეგუება გარემოპირობებთან არსებობის შესანარჩუნებლად.




აკლიმატიზირებული–ადამიანის, მცენარის ან ცხოველის შეგუება კლიმატურ პირობებთან. ჰავასთან შეგუება.

ნამატი–გამრავლებული, გაბევრებული რაოდენობა. ცხოველის ნაშიერი.

ათვისება–მთლიანად გამოყენება, მოხმარება.



წამახალისებელი აპლიკაციური შეფასებები



საშინაო დავალება:

„მოიძიე უფრო ვრცელი ინფორმაცია ზოგადად პინგვინებზე (მათ ქცევებზე, თვისებებზე, ცხოვრებაზე). დავალების შესასრულებლად შეგიძლიათ დაიხმაროთ

ინტერნეტ-ვებ გვერდი:
[/https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion=1&espv=2&ie=UTF-8#q=%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98,,](https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion=1&espv=2&ie=UTF-8#q=%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98,,)



საჭირო საგანმანათლებლო რესურსები :

- ✓ პროექტორი, კომპიუტერი.
- ✓ ვიდეოსიუჟეტი.
- ✓ საკითხავი მასალა (საინფორმაციო ტექსტი), რომელიც შექმნა თემატური მასალის ავტორმა, პედაგოგმა სალომე თადუმაძემ.
- ✓ ვებ-მისამართები:
- ✓ [/https://www.youtube.com/watch?v=3owDJscvlcc/](https://www.youtube.com/watch?v=3owDJscvlcc/)
- ✓ [/www.mes.gov.ge/](http://www.mes.gov.ge/)
- ✓ [/www.nplg.ge//www.ena.ge](http://www.nplg.ge//www.ena.ge)
- ✓ [/https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion=1&espv=2&ie=UTF-8#q=%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/](https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion=1&espv=2&ie=UTF-8#q=%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/)
- ✓ შეფასების სქემა.
- ✓ ფლიფჩარტი, პოსტერები, მარკერები, ფერადი ფანქრები, ფერადი ფურცლები, წებო, მაკრატელი.

შენიშვნები:

- ✓ შესაძლოა, მოსწავლეს გაუძნელდეს ვიდეომასალაზე ყურადღების კონცენტრირება.
- ✓ შესაძლებელია, ბავშვებმა ვერ მოახდინონ საინფორმაციო წყაროდან საჭირო მაქსიმალური ინფორმაციის ამოღება.
- ✓ მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ სიმულაციის სახით რეპორტჟის მომზადება და წარმართვა.



გმადლობთ ყურადღებისთვის!





მედიაწიგნიერება



საშოქალაქო
განვითარების
ინსტიტუტი



CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE

მედიაწიგნიერება და „ცისფერყანწელები“

პრეზენტაციის ავტორი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ქართული ენისა და
ლიტერატურის პედაგოგი რუსუდან გონაშვილი

მედიანობის პოლიტიკა და „ცისფერყანწელები“

გაკვეთილის თემა:

- ცისფერყანწელები - მტრები თუ პატრიოტები?
- შეიძლება თუ არა ვენდოთ მედიასივრცეში გავრცელებულ ყველა ინფორმაციას მათზე?

კლასი:

- მეთორმეტე

გაკვეთილის ხანგრძლივობა:

- 2 დაწყვილებული გაკვეთილი



გაკვეთილის სასწავლო მიზანი:

- ინფორმაციის მიღების, დახარისხების, ანალიზის უნარების გამომუშავება;
- შეფასების, კრიტიკული აზროვნების, მედიაწიგნიერების უნარის განვითარება;
- შეფასებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- წაკითხულის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვა;
- თანამშრომლობის, დისკუსიისა და კამათის ხელოვნების დაუფლება;
- მედიატექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ - ჩვევების გამომუშავება; საინფორმაციო წყაროს ეფექტურად გამოყენების უნარი

გაკვეთილის მიზანი მედიაწიგნიერების სტანდარტთან მიმართებაში:

1. მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
2. სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
3. მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
4. კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების, ინფორმაციის მოძიება-დახარისხების, ძირითადის გამოკვეთისა და დასკვნების გაკეთების უნარი.

ესგ-სთან შესაბამისობა:

1. მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. XII. 4. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სასწავლო პროექტის პრეზენტაციისათვის.

1. მიმართულება: კითხვა

ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.

ქართ. XII. 7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

გამოყენებული აქტივობები:

1. გონებრივი იერიში
2. ჯგუფური მუშაობა
3. დისკუსია
4. სქემები
5. ესე

გაკვეთილის ტიპი: კომბინირებულ - შემაჯამებელი გაკვეთილი

წინასწარი ცოდნა: მოსწავლეებს უკვე აქვთ ინფორმაციის ანალიზისა და დახარისხების უნარი, აქვთ გარკვეული ინფორმაცია საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ.

გამოყენებული რესურსები:

ფლიფჩარტები, დაფა, პროექტორი, ლექტოპი, პრეზენტაცია, ვიდეოფილმები.

სქემა შესავსებია შემდეგი კითხვების საშუალებით:

- როდის შეიქმნა?
- ვინ იყვნენ ცისფერყანწელები?
- - რა იყო მათი ხედვა?
- - რამდენი ქართველი მწერალი შეეწირა ტერორს და რამდენი იყო მათგან ცისფერყანწელი?

• 1.

გაწ

2. კარიკატურების ჩვენება და მათი განხილვა სქემის მიხედვით:

- როდის შეიქმნა კარიკატურა?
- - ვინ არიან გამოსახულნი კარიკატურებზე?
- რა არის კარიკატურის ძირითადი გზავნილი?

3. „მონანიებიდან“ ფრაგმენტის ჩვენება.

ამ მასალის განხილვა შემდეგი სქემის მიხედვით:

- როდის დაიწყო რეპრესიები საქართველოში?
- რომელმა მწერლებმა დაგმეს ბუდუ მდივანი და რა ფორმით?
- რატომ მიიღეს მონაწილეობა ამ პროცესში?
- - როგორ განვითარდა მოვლენები?
- თქვენი აზრით, ამ კრებაზე გამოთქმული მოსაზრებების ავტორები ნამდვილად ასე ფიქრობდნენ?
- დოკუმენტიდან გამომდინარე, როგორ აყალიბებდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ახალი ტიპის ქართველ მწერალს?
- ამ ამონარიდებზე დაყრდნობით, შეიძლება თუ არა დასკვნა იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგია ცდილობდა საკუთარი მიზნების გასახორციელებლად გამოეყენებინა ქართული ლიტერატურა?
- როგორ განვითარდა მოვლენები? რა იყო შემდეგი ასეთი მიზანმიმართული დაშინება-რეპრესიების?

გაკვეთილის მესამე ნაწილი:

- **მესამე ნაწილი** - პოსტრეპრესიულ პერიოდში დაწერილი ლექსების განხილვა; რეპრესიებამდე და რეპრესიების შემდეგ დაწერილი ლექსების შედარება და ქართულ პოეზიაში მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვება კითხვების საშუალებით; დაკვირვება იმაზე, თუ როგორ კლავს ყოველგვარი იდეოლოგია და დაშინება-დოგმები მწერლობასა და შემოქმედებას.

გაკვეთილის პირობები

- გაკვეთილის პირობები ფრაგმენტს ვიდეოკოლაჟ ნადირაძის მიზნებზე. შემდეგ სქემას;

კითხვები	სავარაუდო პასუხები
რა იყო მათი ხედვა?	„ცისფერი ყანწები“ თავის თავს ლიტერატურაში ამკვიდრებდა, უმთავრესად და უპირატესად, ლირიკული პოეზიით. აქ გაერთიანებული იყვნენ უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული და მოაზროვნე პოეტური ძალები, რომლებიც ყოველ თავიანთ ახლად გამოქვეყნებულ ლექსში თუ კრიტიკულ-პუბლიცისტურ გამოსვლაში ცდილობდნენ, ყოფილიყვნენ ორიგინალურნი.
რამდენი ქართველი მწერალი შეეწირა ტერორს და რამდენი იყო მათგან ცისფერყანწელი?	საქართველოში საპყრობილეებში დაახლოებით 63 ათასი ადამიანი მოხვდა, აქედან 20 ათასამდე დახვრიტეს. თუმცა, დახვრეტილთა ან გულაგში გარდაცვლილთა ზუსტი რაოდენობის დადგენა მაინც ჭირს. მათგან ცისფერყანწელი, ჩვენთვის ცნობილი და ნასწავლი ბიოგრაფიებიდან, 3 იყო: ტიციანი, პაოლო და ნიკოლო მიწიშვილი.

ლექსი

ერს -
ფრაგმენტში
სა და
დ და ავსებენ

რეალობაა ფრაგმენტი თუ პერსონაჟის სიზმარი?	ნაწყვეტში პერსონაჟი ხედავს სიზმარს.
რას ხედავს ?	ქალს ესიზმრება, რომ ის და მისი მეუღლე გარბიან ვილადისგან. შემდეგ ისიც გამოჩნდება, რომელიც მათ მოსდევს მანქანით. გასაქცევს ვერ პოულობენ. ბოლოს ბელტებში ჩაიმარხებიან. ნაწყვეტი განწირულობას და უიმედობას შეიცავს. მდევრები პოულობენ გაქცეულებს.
როგორ გამოიყურება,რა აცვია მანქანაში მყოფს? რომელ ეპოქას ასახავს და რატომ ფიქრობ ასე?	მანქანაში მყოფი ჩაცმულია მეოცე საუკუნის დასწყისის კომუნისტი მოხელის ტანსაცმელში. ასახულია მეოცე საუკუნის დასაწყისი. ამაზე მიგვანიშნებს იგივე მოხელე, მანქანა...
არის თუ არა ეს ფრაგმენტი მეტაფორული და რატომ ფიქრობთ ასე? რა არის ამ ფრაგმენტში უცნაური?	ფრაგმენტი მეტაფორის ელემენტებს შეიცავს. სათქმელი პირდაპირ არაა გადმოცემული. უცნაურია მეოცე საუკუნის ადამიანებთან ერთად შუასაუკუნეების ცხენოსნების გამოჩენა. ასე ეცვათ ჯვაროსნებს.

დასმული კითხვები

შეიძლება თუ არა ტიციანის ეს ლექსი განვაზოგადოთ, როგორც ეპოქის ხელოვანთა საერთო ტრაგედია?

შეიძლებოდა თუ არა ასეთ რეჟიმში თავისუფალი შემოქმედისა და შემოქმედების არსებობა?

სავარაუდო პასუხები

ტიციანი საკუთარ თავსაც და მის თაობასაც გულისხმობდა, როცა ამბობდა, რომ ახელი აქვს ლაყუჩები. ამით განაცხადა, რომ ისინი თავს არც პიროვნულად და არც შემოქმედებითად თავისუფლად არ გრძნობენ, რომ მალე მათი აღსასრული დადგება: „შემართულია ფეხზე ჩახმახი“... შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ტიციანის ეს ლექსი ერთგვარი წინასწარმეტყველება აღმოჩნდა, რომელმაც განსაზღვრა თაობის მომავალი.

არა, რადგან ყველაფერი ცენზურას ექვემდებარებოდა და განსხვავებული და მიუღებელი აზრი სასტიკად ისჯებოდა, გამეფებული იყო შიში და ტერორი. სადაც შიშია, იქ თავისუფლება ვერ იქნება.

შემდეგი აქტივობით აანალიზებენ კარიკატურებს და ავსებენ სქემას



კითხვა	სავარაუდო პასუხი
როდის შეიქმნა კარიკატურა?	ორივე კარიკატურა შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.
ვინ არიან გამოსახულნი კარიკატურებზე?	პირველ ნახატზე ცისფერყანწელთა „შებოქვა-მოთვინიერება“, მეორე-ტიციანისა და „ჩეკისტის“ საუბარი.
რა არის კარიკატურის ძირითადი გზავნილი?	დაშინება, ლიტერატურისა და მწერლის მოთვინიერების მცდელობა

- ამის შემდეგ ურიგებს ტექსტურ მოსწავლე კვლევის დაგეგმვაზე, საქართველოში სტატიაზე ეხება ტროპიკულ

კითხვა	სავარაუდო პასუხი
დოკუმენტიდან გამომდინარე, როგორ აყალიბებდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ახალი ტიპის ქართველ მწერალს?	შიშის, ტერორის, რეპრესიების, ფიზიკური განადგურების საშუალებით.
ამონარიდებზე დაყრდნობით, შეიძლება თუ არა დასკვნა იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგია ცდილობდა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა ქართული	ნამდვილად შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება. საბჭოთა ხელისუფლების სურვილი იყო, რომ ქვეყნის იდეოლოგიის როლი მწერლებს აეღოთ საკუთარ თავზე. პრესა იდეოლოგიას
ლიტერატურა?	ავრცელებდა, ახალ მითს კი ბოლშევიკების დაკვეთით სწორედ მწერლები ქმნიდნენ.

ეშაოდ
ელ
დნობით
საბჭოთა
ელის
რული
დაბეჭდილ
სტატია
ს

- ამის რეალური
- შემდეგ ბანაკი დაწესებული საშუალებით
- ამკვირვებელი
- მწერ და კდე

მითი და დემაგოგია	რეალობა და ჭეშმარიტება
ცისფერყანწელები დამნაშავეები და ქვეყნის მოღალატეები იყვნენ და მათი ბრალეულობა თვალსაჩინო და დამტკიცებული იყო.	ცისფერყანწელები ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით ახალი ქართული პოეზიის დამკვიდრებას ცდილობდნენ და არანაირი სახელმწიფოს მტრობა და ზიანი მათ თავშიც არ გაუვლიათ, პირიქით, სამშობლოზე უზომოდ შეყავრებული ადამიანები იყვნენ.
რომ იმ დროს „სიტყვა ეკუთვნოდა კანონს“.	იმ დროს ყველაფერს ერთი კაცის ნება-სურვილი წყვეტდა სახელმწიფოს სახელით.
რომ ყველა შემოქმედი თვისუფლად გამოთქვამდა თვის აზრსა და სათქმელს.	დაშინებული მწერლები თავის გადარჩენის მიზნით იმას ახმოვანებდნენ, რასაც საბჭოთა იდეოლოგია უკვეთავდა მათ.

ლი
თუ
ები
ქე

- ლექსი
- ცხრილი
- დისკუსია
- შეჯამება
- წინადადება
- გაკვეთი
- საშინაო
- შეფასება
- და დი

კალე ფეოდოსიშვილი	
კითხვები	სავარაუდო პასუხები
როდის დაიწერა ლექსი?	1926 წელს
რა მხატვრული ხერხებია გამოყენებული?	
რა არის ლექსის ძირითადი გზავნილი?	მმართველი რეჟიმის, იდეოლოგიის ქება, ხოტბა.
ვინ შეიძლება იყოს ამ ლექსის პირდაპირი და ირიბი შემკვეთი?	პირდაპირი და ირიბი შემკვეთიც მმართველი რეჟიმი და პარტიაა.
ვინ იღებს სარგებელს ამ ლექსით?	კომუნისტური რეჟიმი, იდეოლოგია, ლექსს არანაირი მხატვრული ღირებულება არ აქვს, არც მხატვრული ხერხების გამოყენებით და არც შინაარსობლივად, მასში ისეთივე გზავნილებია, როგორიც საბჭოთა სისტემიდან იდეოლოგიას ჰქონდა.

რჩილებს
 ეოზენ
 და 1
 ვანდელი
 (ესე)
 ენტაციისა

რატომ მედიაწიგნიერება?

- დღეს თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი საინფორმაციო იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ აუცილებელია მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, მეორე მხრივ, მედია სამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევნის გაკეთება (ინფორმაციის „გაფილტვრა“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

რატომ მედიაწიგნიერება?

- ამ გაკვეთილის მედიაწიგნიერების სტანდარტის გათვალისწინებით დაგეგმვისას ჩემი მთავარი მიზანი იყო, მოსწავლეებს სწორად გაეკვლიათ გზა ინფორმაციის სამყაროში, რადგან მედიაწიგნიერი ადამიანი იძენს გამოცდილებას და იმ ინფორმაციას, რომელიც მისთვის სასარგებლოა; ხოლო მისთვის საზიანო ან ზედმეტ ინფორმაციას თავს არიდებს. მედიაწიგნიერი ადამიანი არ ექცევა ინფორმაციის წნეხში და არ აძლევს მედიას საშუალებას, დააპროგრამოს მისი გონება. ცისფერყანწელთა შემოქმედების გააზრებისას, მათზე გავრცელებული მითისა და რეალობის გარკვევისას მოსწავლეებს ყველაზე მეტად ამგვარი მუშაობა დაეხმარებათ.

რადგან:

- მედიაწიგნიერება, როგორც სასწავლო მეთოდოლოგია, მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შესასწავლ თემაზე მრავალფეროვანი რესურსები და მეთოდები შესთავაზოს მოსწავლეებს, ხოლო მოსწავლეები საგნის შინაარსთან ერთად, გამიზნულად სწავლობენ კრიტიკულ აზროვნებას, უკეთესად ეუფლებიან საგანს, შესასწავლ საკითხს იაზრებენ შემოქმედებითად, ქმნიან ახალ პროდუქტს(ახალი ტექსტი; ჰიპოთეზის წამოყენება; კვლევის ან რეფერატის დაგეგმვა; შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა; პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენება და სხვა)

გამოყენებული ლიტერატურა:

- **მედიაწიგნიერება** - ია ანთაძის , თამარ მოსიაშვილის რედაქტორობით
- თარგმანი: სოფიო კვერნაძე, ირინა ჯაფარიძე
- სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

დიდი მადლობა ყურადღებისათვის!

გაკვეთილის სრული ვერსია, დეტალური აღწერა და შეფასების რუბრიკები შეგიძლიათ იხილოთ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მედიაწიგნიერების ვებ პორტალზე:

<http://medialiteracy.ge/ge/resources/id/56/cisferyanwelebi>

